

GC აღმანახი

№8 / აგვისტო, 2020 წ.



სარჩევი

ახალი ცვლილებები აშშ-ის არმიის სამეთაურო დისციპლინარულ პოლიტიკაში	3
ჩინეთმა აშშ-ის გამაფრთხილებელი „ავიამზიდების მკვლელი“ რაკეტების გასროლები მოახდინა.....	4
საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული მორიგი კიბერშეტევა.....	6
მიტერან-კოლის კვალდაკვალ - მაკრონმა მერკელს ბრეგანსონის ისტორიულ ციხესიმაგრეში უმასპინძლა	8
ფრანგული ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა - მეტად ეკოლოგიური, კონკურენტუნარიანი და სოლიდარული საფრანგეთისთვის	11
რუსეთის ფედერაცია კვლავ არ ასრულებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას	12
გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგი რეზოლუცია საქართველოს შესახებ	14

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ახალი ცვლილებები აშშ-ის არმიის სამეთაურო დისციპლინარულ პოლიტიკაში



U.S. Army/Pfc. Jessica Scott

აშშ-ის არმიის მიერ ცოტა ხნის განახლებული ჯარის მართვის პოლიტიკის წესები გამოქვეყნდა, რომელიც ახალისებს მეთაურების მიერ ჯარისკაცთა დამატებითი ფიზიკური ვარჯიშების და აზიდვების დისციპლინარული მიზნებით გამოყენების წესს.

აღნიშნული დოკუმენტი ბოლოს 2014 წელს განახლდა და რეგულაციების 200 გვერდზე მეტს მოიცავს. ბოლო განახლება შეიცავს ისეთი საკითხების ახლებურ რეგულაციას, როგორც არის ფიზიკური ვარჯიშები, სექსუალური შევიწროების ფაქტები და სოციალური მედიაში ექსტრემისტული აქტივობის შესახებ მოხსენების რეგულაციებსაც.

რეგულაციები ასევე შეიცავს სპეციალურ უფლებამოსილებას უნტერ ოფიცრებისათვის, რომელთაც ნება ეძლევათ ჯარისკაცების მცირე გადაცდომები ფიზიკური ვარჯიშების დისციპლინარული წესით გამოყენებით გამოასწორონ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განახლება, მეთაურებს ავალდებულებს გააფრთხილონ თავიანთი ჯარისკაცები, რომ მათ არ შეუძლიათ იქონიან საბრძოლო ამუნიცია, ან შეიარაღება, იმ შემთხვევაში, თუ მათ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სამართლებრივად დადასტურებული ისტორია აქვთ.

ახალი რეგულაციები ასევე უამრავ ცვლილებას მოიცავს სექსუალური ხასიათის დარღვევებთან მიმართებაში. აღნიშნული მიმართულებით თავდაცვის დეპარტამენტში

არსებულმა თითქმის ყველა რეგულაციამ სექსუალური შევიწროების/ძალადობის პრევენციისა და რეაგირების პროგრამის უფლებამოსილების ქვეშ გადაინაცვლა.

აღნიშნული ჩასწორებები მკაფიოდ ასახავენ აშშ-ის არმიაში ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოვლენილ და დაგროვილ პრობლემებს, რომელიც სერიოზულ გამოწვევებად იქცა აშშ-ის შეიარაღებული ძალებისათვის და მისი დისციპლინარული პოლიტიკისათვის.

<https://www.military.com/daily-news/2020/08/27/army-oks-push-ups-pt-punishment-minor-infractions.html>

ჩინეთმა აშშ-ის გამაფრთხილებელი „ავიამზიდების მკვლელი“ რაკეტების გასროლები მოახდინა



Xinhua/Zha Chunming via Associated Press

სამხრეთ ჩინეთის ზღვა კვლავინდებურად გეოპოლიტიკური დაპირისპირების აქტიური კერა არის.

რამდენიმე დღის წინ ჩინეთმა მორიგი სწავლების ფარგლებში ბალისტიკური და ე.წ. „ავიამზიდების მკვლელი“ რაკეტების მასიური გაშვება დაიწყო. ამ მოვლენას წინ უძღოდა ვანშინგტონის მხრიდან დაწესებული ახალი სანქციები 24 ჩინური კომპანიისა და პირის წინააღმდეგ, რომლებიც აშშ-ის აზრით, სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში მშენებლობებისა და სამხედრო აქტივობებში ჩართულ სუბიექტებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სანქცია პირველია აშშ-ის მხრიდან ჩინეთის წინააღმდეგ, რაც ურთიერთობის მორიგ ესკალაციაზე მიუთითებს.

სწავლების ფარგლებში აღნიშნული რაკეტების მასიური გაშვება, ასევე ჰავაის კუნძულებთან აშშ-ის ეგიდით მიმდინარე ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნებზე

პასუხია, რომელშიც აშშ და მისი მოკავშირეები მონაწილეობდნენ, მათ შორის არის იაპონია, რომელიც ბოლო პერიოდში ღიად გამოთქვამს შეშფოთებას ჩინეთის მხრიდან რეგიონში განხორციელებულ სამხედრო-პოლიტიკურ აქტივობებზე.

აღნიშნული რაკეტების გამოყენება ჩინეთის მხრიდან მორიგი გზავნილია, რომელიც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ჩინეთის მანევრისა და წვდომისა შესაძლებლობის განვითარების შესახებ, რომელიც მიმართულია ჩინეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში აშშ-ის მოქმედებების შეზღუდვისკენ.

გასროლების დროს გამოყენებული რაკეტების კონკრეტული ტიპი უცნობია, თუმცა არაოფიციალური წყაროებიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩინეთმა საშუალო მოქმედების 4 ბალისტიკური რაკეტის გაშვება მოახდინა. ჩინური წყაროების მიხედვით, კი 2 რაკეტის გაშვება მოხდა, რომლებიც ე.წ. „ავიამზიდების მკვლელ“ ხომალდ საწინააღმდეგო რაკეტებს წარმოადგენენ.

ჩინეთის ხელისუფლების გამოცემის „გლობალ თაიმის“ მიხედვით, მინიშნება გაკეთდა ჩინური წარმოების DF-26-ის ტიპის რაკეტებზე, რომელთა სროლის მანძილი 4000 კმ არის და გამოყენებულ შეიძლება იქნას ბირთული და კონვენციური დარტყმების მისაყენებლად სახმელეთო და საზღვაო სამიზნეების წინააღმდეგ. გარდა ამისა, საუბარია DF-21D ტიპის რაკეტებზეც, რომელთა გამოყენების მანძილი 1800კმ არის და რომელსაც მსოფლიოს პირველ ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკურ რაკეტასაც ეძახიან, რომელიც ხმელეთიდან შეიძლება იყოს გაშვებული.

აღნიშნული ტიპის რაკეტები სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენენ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტისათვის. ამერიკული მხარის განცხადებით, ჩინეთმა მხოლოდ გასულ წელს რამდენიმე ასეული გასროლა განხორციელა სასწავლო და სატესტო მიზნებით.

<https://taskandpurpose.com/news/china-fires-ballistic-missiles-south-china-sea?fbclid=IwAR0TxFVBPhypS78skTYqanSJZk4wjmWnQPndEtIp9XPFUNu60uW6Ur7kfoI>

პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული მორიგი კიბერშეტევა



<https://imedinews.ge/ge>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 2020 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე ერთ-ერთი უცხო ქვეყნიდან განხორციელდა კიბერშეტევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება.

კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევის შედეგად მოპოვებული, ავთენტიკური დოკუმენტაციის ნაწილი აიტვირთა ერთ-ერთ უცხოურ ვებ-გვერდზე. ამასთანავე, აღნიშნულ ვებ-გვერდზე განთავსდა აშკარად ფალსიფიცირებული დოკუმენტები, რომლებიც განზრახ არის გაყალბებული და მიზნად ისახავს საზოგადოების დაშინებასა და უნდობლობის დანერგვას.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ თბილისში გაავრცელა განცხადება 2020 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე განხორციელებული კიბერშეტევის შესახებ. ხსენებული განცხადების თანახმად, აღნიშნული უპასუხისმგებლო ქმედება მიზნად ისახავდა მართლსაწინააღმდეგო წვდომის მოპოვებას პანდემიის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც დაცულია სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში. „COVID-19 პანდემიის დროს ლუგარის ცენტრმა საქართველოს საპასუხო ქმედებებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ეხმარება რა ქართველ ხალხს ჯანმრთელობის დაცვასა და სიცოცხლის გადარჩენაში. ამერიკის შეერთებული შტატები გმობს ამ უგუნურ და საშიშ თავდასხმას. კიბერსივრცის უსაფრთხოება დამოკიდებულია სახელმწიფოთა პასუხისმგებლიან ქმედებაზე. ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოების სხვა თანამოაზრეებთან ერთად შევასრულებთ კიბერსივრცეში სახელმწიფოთა პასუხისმგებლიანი ქცევის საერთაშორისო სისტემის ვალდებულებებს. ჩვენ მათ, ვინც ამ სისტემის მიღმა მოქმედებს, ვალდებულებების შესრულებისა და საზიანო ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოვუწოდებთ“, - აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს წინააღმდეგ კვლავ განხორციელებული კიბერშეტევა ცხადყოფს, რომ აუცილებელია, პირველ რიგში, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის გაძლიერება. ასევე, მნიშვნელოვანია ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიის მიღება, რომელიც კიბერშეტევებსაც მოიაზრებს.

ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგია უნდა ასახავდეს აღნიშნულ გამოწვევებთან ბრძოლის სამკომპონენტო მქანოზმს (ეს ეფუძნება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამოცდილებას):

- მზადება ჰიბრიდული საფრთხეებისთვის, რაც გულისხმობს შესაძლო ჰიბრიდული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, ასევე, გადაწყვეტილებების მიმღებთა აღჭურვას შესაბამისი მონაცემებითა და ცოდნით;
- შეკავება ჰიბრიდული საფრთხეების, რაც ნიშნავს შესაბამისი სამთავრობო უწყებების ინსტიტუციურ გაძლიერებას, რათა მათ შეძლონ დროულად და ეფექტიანად ჰიბრიდული გამოწვევის შესაძლო ნეგატიური, დესტრუქციული შედეგის თავიდან აცილება;
- თავდაცვა - თუ შეკავების პოლიტიკამ ვერ მიაღწია სასურველ სტრატეგიულ მიზანს, აუცილებელია, ჰიბრიდულ საფრთხეებთან სწრაფი რეაგირების შესაძლებლობების განვითარება.

წყაროები:

<https://police.ge/ge/sqartvelos-shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13926>

<https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-september-1-2020-cyberattack-against-georgian-ministry-of-health/>

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

მიტერან-კოლის კვალდაკვალ - მაკრონმა მერკელს ბრეგანსონის ისტორიულ ციხესიმაგრეში უმასპინძლა



ფოტო: ©AFP

20 აგვისტოს, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ფრანგულ საზაფხულო საპრეზიდენტო რეზიდენციაში - ბრეგანსონის ციხესიმაგრეში უმასპინძლა. მერკელამდე ამ ისტორიულ რეზიდენციაში მიწვევის პატივი მაკრონის პრეზიდენტობის დროს, გასულ ზაფხულს, რუსეთის პრეზიდენტ

ვლადიმერ პუტინს ხვდა, ხოლო 2018 წელს კი - დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის. თავად გერმანიის კანცლერებიდან ანგელა მერკელი რიგით მეორეა, ვისაც ბრეგანსონის რეზიდენციაში მიპატიჟების მსგავსი პრივილეგია მიენიჭა. უფრო ადრე, 1985 წელს, ერთიანი და მშვიდობიანი ევროპისთვის ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობის მოტივით, ბრეგანსონის ციხესიმაგრეში პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა კანცლერი ჰელმუტ კოლი მიიწვია.

დღესაც, ზუსტად 35 წლის შემდეგ, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების ბრეგანსონის რეზიდენციაში შეხვედრის მთავარ მიზანს ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობის გაძლიერება წარმოადგენდა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში - ევროპულ თუ საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, პრეზიდენტ მაკრონისა და კანცლერ მერკელის შეხვედრაზე [განხილულ საკითხებს](#) შორის აღსანიშნავია: *ევროკავშირის პოსტ-პანდემიური კრიზისის მართვის გეგმა; „ბრექსითი“; ურთიერთობების წარმართვა ბელარუსთან მიმდინარე კრიზისის ფონზე; თურქულ-ბერძნული დაპირისპირება ხმელთაშუა ზღვაში არსებულ სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით; ასევე, რუსეთის მთავარი ოპოზიციონერი ლიდერის, ალექსეი ნავალნის მოწამვლის საკითხი.*

გერმანიის - ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნისა და საფრანგეთის პოზიციები ზოგადად ერთიანია ზემოქანმოვლილ საკითხებზე, გამონაკლისს წარმოადგენს ფრანგულ-გერმანულ აზრთა სხვადასხვაობა თურქულ-ბერძნული დაძაბული ურთიერთობების თაობაზე. ნატო-ს ორი წევრი ქვეყნის - საბერძნეთისა და თურქეთის ურთიერთობები მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში მას შემდეგ დაიძაბა, რაც თურქულმა მხარემ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით - ენერგეტიკული რესურსების მოძიების მიზნით - საკვლევი ხომალდი გაგზავნა. თურქეთის ამ ქმედებამ ბერძნული მხარის უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან სამძებრო სამუშაოები, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, კვიპროსისა და კრეტას კუნძულების მახლობლად, სადავო საზღვაო ტერიტორიებზე უნდა წარმართულიყო. აღნიშნულს, საბოლოო ჯამში, ორივე ქვეყნის სამხედროების მობილიზება მოჰყვა. თუკი აღნიშნულ კონფლიქტში ევროპის ლიდერად წოდებული ემანუელ მაკრონი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს - საბერძნეთს აქტიურად [უჭერს მხარს](#) და თურქული მხარის მიერ წარმართულ პოლიტიკას ექსპანსიონისტურს [უწოდებს](#), შედარებით მშვიდი ტონით მოლაპარაკების გზით კრიზისის გადაჭრის მომხრეა 15-წლიანი კანცლერობის თითქმის მიწურულს მყოფი ანგელა მერკელი, რომლის ქვეყანა, არც მეტი, არც ნაკლები, დღეს დაახლოებით 3-მილიონიან თურქულ დიასპორას ითვლის.

„ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გვჭირდება სტაბილურობა და თუკი საფრანგეთი და გერმანია თავიანთ ძალებს გააერთიანებენ, ჩვენ აუცილებლად ვიპოვით

გამოსავალს დისკუსიის და არა სამხედრო გზით“; - განაცხადა კანცლერმა მერკელმა პრეზიდენტ მაკრონთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე.

განსხვავებით ზემოაღნიშნულისა, *ფრანგულ-გერმანული წყვილი* ერთსულოვნად უჭერს მხარს ბელარუსი ხალხის ამჟამინდელ პროტესტს. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დემოკრატიულ ჩარჩოებში წარმართვის ხელშეწყობის მიზნით, მერკელმა და მაკრონმა თვით რუსეთთან თანამშრომლობის იმედიც კი გამოთქვეს. *„ჩვენ რუსეთისგან ველოდებით ჭეშმარიტად გულწრფელ დიალოგს ევროკავშირთან, გერმანიასთან და საფრანგეთთან. ეს გახლავთ თანამშრომლობა ეფექტური მედიატორობისთვის [ბელარუსში არსებული კრიზისის მოგვარების მიზნით], ერთგვარი წვლილის შეტანა ყოველგვარი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, ყოველგვარი დამატებითი ძალადობის აბსოლუტურად აღსაკვეთად“*; - განაცხადა პრეზიდენტმა მაკრონმა.

ამასთან, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებმა ერთობლივად დაგმეს რუსი ოპოზიციონერის, ალექსეი ნავალნის მოწამვლის ფაქტი და აღნიშნულზე სრულყოფილი და გამჭვირვალე გამოძიების წარმართვის იმედიც გამოთქვეს.

მაკრონთან შეხვედრის დასასრულს გამართულ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე კი ანგელა მერკელმა ასევე აღნიშნა: *„ევროპა ძლიერია მაშინ, როდესაც იგი საუბრობს ერთიანი ხმით და იცავს მულტილატერალიზმს, თუმც, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი“*.

ცნობისთვის, რამდენიმე თვეში ანგელა მერკელის კანცლერობის ვადის ამოწურვისა და „ბრექსიტის“ პროცესების დასრულების შემდგომ, ევროკავშირში ძალთა ბალანსის გადანაწილების ახალ ეტაპს უნდა ველოდოთ; მათ შორის, *ერთიანი ევროპული ხმით* გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ევროკავშირის წევრი მცირე სახელმწიფოების გავლენების მეტ ზრდასაც.

ფრანგული ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა - მეტად ეკოლოგიური, კონკურენტუნარიანი და სოლიდარული საფრანგეთისთვის

რამდენიმე დღის წინ, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობამ საზოგადოებას ქვეყნის პოსტ-პანდემიური კრიზისის წარმართვის [ეკონომიკური გეგმა](#) წარუდგინა. მომავალ 2 წელზე გათვლილი 100-მილიარდიანი გეგმის მთავარი მიზანი არა მხოლოდ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის გადალახვაა მოკლევადიან პერიოდში, არამედ ასევე - მზადება რესპუბლიკის გრძლევადიანი განვითარებისთვის, რომელიც 2030 წლისთვის მეტად ეკოლოგიური, მეტად კონკურენტუნარიანი და უფრო



სოლიდარული უნდა იყოს. „გეგმა არ გულისხმობს მხოლოდ კრიზისით გამოწვეული „ჭრილობების“ მოშუშებას. ის მიზნად ისახავს მზადებას ქვეყნის მომავლისთვის!“, - [განმარტა](#) რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჟან კასტექსმა.

მოცემული ეკონომიკური გეგმა 2022 წლისთვის საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების

პანდემიამდე არსებულ ნიშნულზე დაბრუნებასა და უმუშევრობის დონის შემცირებას ითვალისწინებს. მათ შორის, მიმდინარე წელს 800 000 სამუშაო ადგილის მოსალოდნელი შემცირების ფონზე, აღნიშნული გეგმის მიზანია 2021 წლისთვის 160 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა. ცნობისთვის, უმუშევრობის დონე საფრანგეთში კოვიდ-19-ის პანდემიამდე ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე [დაბალ ნიშნულზე](#) იყო.

კერძოდ, 100-მილიარდიანი ევროს ბიუჯეტის მქონე ფრანგული გეგმის (რომლის 40 მილიარდი ევრო ევროკავშირის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის ნაწილია) მიხედვით, გათვალისწინებულია: პირველ რიგში, 30 მილიარდი ევროს გამოყოფა ქვეყნის ეკოლოგიური ტრანზიციის მიმართულებით, მათ შორის, საფრანგეთში დღეს ნაკლებად არსებული ღამის მატარებლის სერვისისა და ველო ტრანსპორტის მეტად განვითარების მიზნით; შემდგომში - გეგმის ფარგლებში 35 მილიარდი ევრო დაიხარჯება მცირე და საშუალო ფირმების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, მათ შორის, მათთვის გადასახდების შემცირების, საფრანგეთში წარმოებების გადმოტანის, ასევე წარმოების ადგილზე განვითარების, მცირე და საშუალო ფირმების ციფრული ტრანსფორმაციისა და ექსპორტის ხელშეწყობისთვის; ასევე 35 მილიარდი ევრო არის გათვალისწინებული საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის,

რომლის ფარგლებში 14 მილიარდი ევროს ღირებულების ხარჯები ახალგაზრდობისა და უმუშევარ მოქალაქეთა მხარდასაჭერად წარიმართება.

ფრანგულ სამთავრობო ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმას ოპონენტები წინასაარჩევნო პოლიტიკურ გეგმად აფასებენ, განსაკუთრებულ აქცენტს კი აღნიშნული გეგმის 100-მილიარდი ევროს ბიუჯეტის მომავალ 2 წელში ათვისებაზე სვამენ. თუმც, ჯერჯერობით უცნობია გეგმავს თუ არა ახალგაზრდა პრეზიდენტი მაკრონი ზუსტად 2 წლის შემდეგ - 2022 წელს გასამართ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

რუსეთის ფედერაცია კვლავ არ ასრულებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას



რუსეთის ფედერაცია აგრძელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის საბჭოს უპატივცემულობას და მაქსიმალურად აჭიანურებს საქართველოს მოქალაქეებისთვის სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაციის გადახდას. საკითხი შეეხება 2006 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეების კოლექტიურ გაძევებას, რასთან დაკავშირებითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

დიდმა პალატამ 2014 წელს გამოიტანა [გადაწყვეტილება](#) და დაადგინა რუსეთის მიერ კონვენციის არაერთი ნორმის დარღვევა. 2019 წლის 31 იანვარს სასამართლომ [განსაზღვრა](#) მორალური კომპენსაციის მოცულობა და რუსეთს საქართველოს მოქალაქეებისთვის 10 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. რუსეთის ფედერაციას კომპენსაციის გადახდის ვადა 2019 წლის 30 აპრილს ამოეწურა, თუმცა, მას ამ დრომდე არ დაუწყია კომპენსაციის გადახდა, რასთან დაკავშირებითაც ევროპის საბჭოში არაერთი შეხვედრა გაიმართა. დეპორტირებულების საქმეზე 2019-2020 წლებში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ, კომპენსაციის გადახდის თემაზე არაერთი გადაწყვეტილება მიიღო (2019 წლის 23-25 სექტემბერს, 3-5 დეკემბერსა და 2020 წლის 3-5 მარტს). საქართველოს მთავრობამ მრავალი არგუმენტი წარადგინა კომიტეტის შეხვედრებზე, რის საფუძველზეც, რუსეთს 10 მილიონი ევროს დაუყოვნებლივ გადახდა დაევალა. უკანასკნელი სხდომები 2020 წლის 1-3 სექტემბერს ჩატარდა, სადაც კომიტეტმა ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად კომპენსაციის გადახდა არის უპირობო ვალდებულება. 2020 წლის სექტემბრის მეორე ნახევრამდე რუსეთმა ყველა პროცედურული საკითხი, მათ შორის, ტრანზაქციის ტექნიკურად განხორციელების დეტალები უნდა შეათანხმოს.

კომპენსაციის გადახდა საქართველოსთვის პრინციპული მნიშვნელობის არის ორი თვალსაზრისით, ერთი მხრივ აუცილებელია, რომ ჩვენი ქვეყნის 1500 მოქალაქეს, რომლებიც კოლექტიურად გამოაძევა რუსეთმა, მიეცეს მორალური კომპენსაცია. მეორე მხრივ, აღნიშნული პროცესი ლაკმუსის ქაღალდია რუსული სამეზობლო პოლიტიკის ღირებულებების ნათლად დასანახად. აგრეთვე, რუსეთის მოქმედებები ზიანის ანაზღაურების თემის ჭრილში ხაზს უსვამს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობისადმი მის დამოკიდებულებას.

გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგი რეზოლუცია საქართველოს შესახებ



წყარო: <https://mfa.gov.ge/News/gaero-s-generalurma-asambleam-afkhazetidan,-saqart.aspx>

გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 74-ე სესიის ფარგლებში მიიღო მორიგი რეზოლუცია სახელწოდებით - „*აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ*“. დოკუმენტი 54 ქვეყნის თანასპონსორობით გავიდა კენჭისყრაზე და მიიღო 84 სახელმწიფოს მხარდაჭერა, 78-მა ქვეყანამ თავი შეიკავა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან, ხოლო 13- რეზოლუციის წინააღმდეგ წავიდა. დოკუმენტი, რომელიც 2008 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს მიიღება გენერალურ ასამბლეაზე, უმნიშვნელოვანესია თავისი დატვირთვით, რამეთუ ხაზს უსვამს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, აძლიერებს საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის პრაქტიკულ ელემენტებს, უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიის ანექსიის პრევენციას და აძლიერებს სამართლებრივ საფუძვლებს ქვეყნის დეოკუპაციისთვის. რეზოლუცია განამტკიცებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა დეოკუპაციის შემდგომ დაბრუნებისთვის მყარი ნორმატიული ბაზის შესაქმნელად.

დოკუმენტი განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს კოსოვოს, სერბეთისა და შეერთებული შტატების სამხრეთი შეთანხმების ფონზე, ვინაიდან ნათლად წარმოაჩენს იმ განსხვავებებს, რომლებიც როგორც ფაქტობრივად, ასევე სამართლებრივად არსებობს საქართველოსა და სერბეთის შემთხვევებს შორის. ამას გარდა, რეზოლუციის ყოველწლიურად მიღება აყალიბებს სამართლებრივ მრწამსს (*opinion iuris*) საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის შესახებ, რაც არაღიარების პოლიტიკის წარმოებისთვის ფუნდამენტური კატეგორიის საკითხია.